სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080148039076322

№ 1182 06 / აპრილი / 2022 წ.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 4 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ SMP220001002 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ლატექსის ერთჯერადი სტერილური ხელთათმანების (ტალკით, ინდივიდუალური შეფუთვით) შესყიდვას (CPV - 33100000 - სამედიცინო მოწყობილობები), ღირებულებით 768.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ესაჭიროება ლატექსის ერთჯერადი სტერილური ხელთათმანები (ტალკით, ინდივიდუალური შეფუთვით), რომლის შესასყიდად გამოცხადებული CON220000009 კონსოლიდირებული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, შექმნილი ვითარება აფერხებს ცენტრის ფუნქციონირებას და საფრთხეს უქმნის პაციენტების ჯანმრთელობას, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის საქონლის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ესაჭიროება ლატექსის ერთჯერადი სტერილური ხელთათმანები (ტალკით,

ინდივიდუალური შეფუთვით), რომლის შესასყიდად გამოცხადებული CON220000009 კონსოლიდირებული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, შექმნილი ვითარება აფერხებს ცენტრის ფუნქციონირებას და საფრთხეს უქმნის პაციენტების ჯანმრთელობას, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის საქონლის შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ SMP220001002 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი